პატივცემულო კოლეგებო, ძვირფასო სტუმრებო,

ქალბატონებო და ბატონებო!

პირველ რიგში, მსურს მივესალმო აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს ბ-ნ გიორგი ჯინჭარაძეს, მთავრობის წევრებს, აპარატის თანამშრომლებს, სხდომათა დარბაზში მყოფ ყველა სტუმარს.

ყოველი მორიგი სასესიო პერიოდის გახსნა არის გარკვეული მოვლენა უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში, როდესაც ვაჯამებთ გაწეული მუშაობის შედეგებს და ვსახავთ სამომავლო გეგმებს. ყოველდღიური საქმიანობისა და სამომავლო გეგმების საბოლოო მიზანი კი იყო და რჩება უმაღლესი საბჭოს ისტორიული მისიის ნაბიჯ-ნაბიჯ შესრულება, ანუ ქვეყნის დეოკუპაციისა და გამთლიანების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში მაქსიმალური ხელშეწყობა.

მოგეხსენებათ, ჩვენ საქმე გვაქვს ოკუპირებულ ტერიტორიასთან, უკანონო ოკუპაციასთან დაკავშირებულ უკიდურესად მწვავე პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ პრობლემებთან. ამ პრობლემების შესახებ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა გაერო, ევროსბჭო პერიოდულად იღებენ შესაბამის რეზოლუციებს სათანადო რეკომენდაციებით, მაგრამ ოკუპუპანტი მათ არ ასრულებს. სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებების უგულვებელყოფა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. ბოლო წლების განმავლობაში ხომ შეჩვეული ვართ არა მხოლოდ რუსეთის, არამედ სხვა წამყვანი ქვეყნების მხრიდან საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევის ფაქტებს; შევეჩვიეთ ასევე ორმაგ სტანდარტებს და საერთოდ სტანდარტების უქონლობასაც კი იმ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გაერთიანებების მხრიდან, რომელთა ყოველი სიტყვა ადრე ჭეშმარიტების უმაღლეს ინსტანციასთან, სამართლიანობასთან გვქონდა გაიგივებული.

რუსეთის აგრესიამ უკრაინის წინააღმდეგ, რომელიც სრული ოთხი წელიწადი გრძელდება, უმძიმესი გამოცდა მოუწყო მთელს კაცობრიობას, განსაკუთრებით სამყაროს, რომელსაც ცივილიზებულს ვუწოდებდით და დღემდე ვუწოდებთ; უმძიმესი გამოცდა მოუწყო, პირველ რიგში, ევროკავშირსა და ნატოს. ამ გამოცდის შედეგები, რბილად თუ ვიტყვით, არის იმდენად სავალალო, რომ, საქმეში ღრმად ჩახედული ექსპერტების აზრით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ხსენებული გაერთიანებისა და სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის იმ სახით არსებობის საკითხი, რა სახითაც ისინი დღემდე არსებობდნენ. ამაზე მიუთითებს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის თანამედროვე პოლიტიკაც, მისი არც თუ ისე უსაფუძვლო პრეტენზიები და კრიტიკული დამოკიდებულება როგორც ევროკავშირის, ისე ნატოს მიმართ, სერიოზული დაპირისპირებები მათ შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, უკრაინაში ომის დასრულების და სხვა საკითხებზე. არაფერს ვამბობთ

გრენლანდიის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე, რომლებმაც ბოლომდე გააშიშვლეს და საჯაროზე გამოიტანეს ნატოს შიგნით არსებულ პრობლემათა მთელი სპექტრი, ამ ორგანიზაციის მეხუთე მუხლთან არსებული ილუზიების ჩათვლით.

დაახლოებით ერთი თვის წინ - 2026 წლის 19-23 იანვარს დავოსში მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, ხოლო ამ დღეებში მიუნხენში უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციაზე წამყვანი სახელმწიფოების ლიდერების მიერ გაკეთებული განცხადებები კიდევ ერთხელ გვარწმუნებენ, რომ ის მსოფლიო, ის ევროპა, ის ევროკავშირი და ნატო, რომლებსაც ვიცნობდით, თუ გვეგონა რომ ვიცნობდით, ფაქტობრივად უკვე აღარ არსებობენ. იმავე დავოსში ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოს ლიდერისგან მოვისმინეთ მწარე სიმართლე იმის შესახებაც, რომ დღევანდელ მსოფლიოში არა თუ ირღვევა საერთაშორისო სამართალი, არამედ იგი საერთოდ არ არსებობს; არ არსებობს წესებზე დამყარებული საერთაშორისო წესრიგი. სამწუხაროდ, ეს მწარე სიმართლე ჩვენთვის, მრავლისმნახველი დეპუტატებითვის, მაინცდამაინც დიდ სიახლეს არ წარმოადგენს. ზესახელმწიფოთა ძალისხმევითა და, უნდა ვივარაუდოთ, ცალკეულ შემთხვევებში მათ შორის ურთიერთშეთანხმებითაც კი აშკარად მიმდინარეობს სრულიად ახალი გეოპოლიტიკური გადალაგებები. ამ გლობალური და, თამამად შეიძლება ითქვას, შეუქცევადი პროცესის მიღმა არც საქართველო და მასთან ერთად სამხრეთ კავკასიაა დარჩენილი, სადაც შექმნილია ყველა წინაპირობა მშვიდობითვის, სადაც მიმდინარეობს აზია-ევროპის დამაკავშირებელი შუა დერეფნის ლოგისტიკური შესაძლებლობების გაფართოება. დღეს ჩვენ თვალყურს ვადევნებთ მსოფლიოში ახალი გეოპოლიტიკური ლანდშაფტის ჩამოყალიბების პროცესის საწყის ეტაპს, ამასთანავე წინასწარ არავინ იცის როგორ განვითარდება აღნიშნული პროცესი, რა პოლიტიკურ თუ სამხედრო დაპირისპირებებს წააწყდება და, საბოლოო ჯამში, რა სახეს მიიღებს ის ახალი გეოპოლიტიკური ლანდშაფტი. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცით, რომ სამყარო გახდა მრავალპოლუსიანი, თუმცა ჯერ კიდევ ცნობილი არ არის, რამდენ პოლუსიან სამყაროში მოგვიწევს ცხოვრება. ასეთი გაურკვევლობა კი რეგიონალური თუ გლობალური მშვიდობისთვის ახალი საფრთხეებისა და რისქების შემცველია.

არსებულმა ვითარებამ ბოლო წლების განმავლობაში საქართველო, როგორც ვხედავთ, სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა. ამ გამოწვევებს ჩვენი ქვეყანა არა თუ გაუმკვლავდა, არამედ მთავრობის გონივრული საგარეო და საშინაო პოლიტიკის წყალობით გამოწვევები შესაძლებლობებადაც კი აქცია. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, მშვიდობისკენ, სტაბილურობისკენ, ეროვნული ინტერესების დაცვისკენ, ურთიერთობაში წარმოქმნილი ხელოვნური პრობლემების მიუხედავად, ევროკავშირში გაწევრიანებისკენ მიმართულმა სამთავრობო პოლიტიკამ უზრუნველყო და მომავალშიც უზრუნველყოფს აღნიშნული შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებას, რაც სწრაფ ეკონომიკურ განვითარებასა და სტაბილურობაში გამოიხატება.

ერთი სიტყვით, მუშაობა გვიწევდა და, დიდი ალბათობით, ახალ სასესიო პერიოდშიც მოგვიწევს, ერთის მხრივ, ღრმა, მაგრამ ჯერ კიდევ დაუსრულებელი გეოპოლიტიკური ცვლილებების, აქედან გამომდინარე, გაურკვეველი და რისქების შემცველი საერთაშორისო ურთიერთობების, არარსებული მსოფლიო წესრიგის, მეორეს მხრივ, საქართველოში დამკვიდრებული სტაბილურობის, რაც ყველაზე მთავარია, მშვიდობისა და განვითარების პირობებში. ამ ტრიბუნიდან არაერთხელ თქმულა იმის შესახებ, რომ სწორედ სტაბილურობა, სწორედ მშვიდობა და განვითარება გახლავთ ქვეყნის გამთლიანების მთავარი წინაპირობაც. უმაღლესი საბჭოს წევრებს შორის არსებული სხვადასხვა პოლიტიკური გემოვნების მიუხედავად, ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას ვიზიარებთ დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობა. აღნიშნულმა გარემოებამ კი შექმნა საქმიანი გარემო ნაყოფიერი მუშაობისთვის.

2025 წლის საშემოდგომო სასესიო პერიოდში ჩატარდა 13 პლენარული სხდომა, სადაც 36 საკითხი განვიხილეთ; პრეზიდიუმის 17 სხდომაზე კი 44 საკითხია განხილული. იმავე პერიოდში უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულია და საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებულია ავტონომიური რესპუბლიკის ხუთი კანონი. მიღებულია სხვა გადაწყვეტილებებიც, რომლებიც ჩვენი მუშაობის ყველა სფეროს ეხება.

უმაღლესი საბჭოს საქმიანობის უმთავრეს სფეროს კი, მოგეხსენებათ, კანონშემოქმედება წარმოადგენს, რომელსაც იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი წარმართავს ბ-ნ ვახტანგ ყოლბაიას ხელმძღვანელობით. კომიტეტს ჩატარებული აქვს რვა სხდომა; მის მიერაა მომზადებული სხვადასხვა კანონპროექტები, რომელთა ნაწილი დამტკიცებულია უმაღლესი საბჭოს მიერ, ნაწილი კი დამუშავების სტადიაშია. საუბარი ამ შემთხვევაში არის საქართველოს კანონებში შესატან ცვლილებებზე. განვლილი სასესიო პერიოდის გახსნისას საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ, აფხაზეთის ვეტერანთა კავშირის ინიციატივით, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მიერ მომზადებულ კანონპროექტებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსსა და სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ საქართველოს კანონებში ცვლილების შეტანის შესახებ. ამჟამად აღნიშნული კანონპროექტები დამუშავების ბოლო ეტაპზეა ანუ საჭიროა გარკვეული საკითხების შეთანხმება შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან, ასევე კანონპროექტის ინიციატორებთან.

კომიტეტი აგრძელებს წინა სასესიო პერიოდში დაწყებულ მუშაობას აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამუშაო სტაჟის დადგენის წესის გამარტივებაზე. მუშაობაში ჩართულია აფხაზეთის ა/რ იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამინისტრო, რომელთანაც ერთად გაიმართა საქმიანი შეხვედრები როგორც აფხაზეთის სამთავრობო სტრუქტურებთან, ისე საქართველოს პარლამენტის აპარატის წარმომადგენლებთან. დაგეგმილია შეხვედრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილ წარმომადგენლებთან. იმედი გვაქვს, რომ მიმდინარე

სასესიო პერიოდის განმავლობაში ეს შეხვედრაც შედგება და დევნილთა სტაჟის დადგენის წესიც გამარტივდება.

უმაღლესი საბჭოს იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი დიდი ხანია მუშაობს დევნილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესში განსახორციელებელ ცვლილებებზე, რამაც ეს წესი კიდევ უფრო სამართლიანი და ჰუმანური უნდა გახადოს. ეს რომ აუცილებელია, ამაზე დევნილთა მრავალრიცხოვანი საჩივრები და სასამართლოებში მათ მიერ მოგებული საქმეებიც მეტყველებენ. საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, უახლოეს პერიოდში - ამ თვის ბოლოს ან მარტის პირველ რიცხვებში უმაღლეს საბჭოში გაიმართება შეხვედრა ან პლენარული სხდომა, სადაც მოწვეული იქნებიან დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ხელმძღვანელობა. ამის თაობაზე არსებობს წინასწარი სიტყვიერი შეთანხმება სააგენტოს უფროსთან ბ-ნ დავით კაიკაციშვილთან. აღნიშნული შეხვედრისთვის თუ სხდომისთვის მზადება უკვე მიმდინარეობს.

მოგახსენებთ კომიტეტის კიდევ ერთი ინიციატივის, კიდევ ერთი პრობლემის თაობაზე, რომელიც ათასობით აფხაზეთიდან დევნილს ეხება - ეხება იმ დევნილებს, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ და იქაური მოქალაქეობა აქვთ მიღებული. კარგად მოგეხსენებათ, ეს ადამიანები საკუთარი ნებით არ წასულან რუსეთში და არც საკუთარი ნებით გამხდარან რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები. აღნიშნული კატეგორიის ადამიანთა უდიდეს უმრავლესობას კავშირი სამშობლოსთან არ გაუწყვეტია; საქართველოში მათ შეიძინეს უძრავი ქონება - საცხოვრებელი სახლები, ბინები, სადაც მათივე ოჯახის წევრების ნაწილი - მშობლები ან შვილები ცხოვრობენ. სრულიად მოულოდნელად წარმოიშვა ასეთი პრობლემა - რუსეთის მოქალაქეობის მქონე აფხაზეთიდან დევნილებს, რომელთა პასპორტებში დაბადების ადგილად მითითებულია ე. წ. აფხაზეთის რესპუბლიკა, საქართველოში შემოსვლის უფლება არა აქვთ. მსგავსი ჩანაწერი ცალსახად არის უკანონო, გულისხმობს რა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უგულვებელყოფას. მიუხედავად ამისა, არა მგონია სამართლიანი და სწორი იყოს ოკუპანტის მიერ გაკეთებული ამ უკანონო ჩანაწერის გამო ადამიანებისთვის საკუთარ სახლებში ჩამოსვლის, აქ მცხოვრებ ოჯახის წევრებთან შეხვედრის, ოჯახთან ერთად გარკვეული ვადით ცხოვრების აკრძალვა. ვითარებას ამძიმებს ის გარემოებაც, რომ არც თუ ისე ადვილია რუსეთის მოქალაქეობის მქონე დევნილებისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა. ეს კიდევ ცალკე დიდი თემაა, რომელსაც ამჯერად არ შევეხებით, თუმცა დღის წესრიგიდან არ იხსნება. რუსეთის მოქალაქეობის მქონე აფხაზეთიდან დევნილებთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების შესახებ წერილობით უკვე მოვახსენეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს. იმედი გვაქვს, რომ გამოსავალი მოიძებნება, როგორც მოიძებნა, მაგალითად, გამოსავალი აფხაზეთში გაცემულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით. აღნიშნულ უკანონო დოკუმენტაციას, მოგეხსენებათ, ქართული სახელმწიფო არ ცნობს, მაგრამ მისი გამოყენებით ვახდენთ პიროვნების იდენტიფიცირებას. იგივე მიდგომა შეიძლება გვქონდეს უკანონო ჩანაწერის

მქონე რუსული პასპორტების მიმართაც. მინდა ვთხოვო აფხაზეთის მთავრობას, პირადად თქვენ, ბ-ნო გიორგი, სერიოზულად დაინტერესდეთ ამ საკითხით, რადგანაც იგი ათასობით დევნილს ეხება.

უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტი ბ-ნ ნუგზარ მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით ერთ-ერთი წამყვანი და ფუნქციურად დატვირთული კომიტეტია. განვლილ სასესიო პერიოდში მას ჩატარებული აქვს 15 სხდომა. კომიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან, თავის სხდომებზე ძირითადად იხილავს სწორედ განათლებასთან და კულტურასთან დაკავშირებულ საკითხებს. გასული წლის 27 ოქტომბერს ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში გაიმართა კომიტეტის თავმჯდომარის, ამასთანავე გამოჩენილი ხელოვანის ნუგზარ მგალობლიშვილის შემოქმედებითი საღამო, მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. იქვე იყო ნაჩვენები დოკუმენტური ფილმი ბატონ ნუგზარის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ დისიდენტობიდან, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმოწერიდან დღემდე.

კომიტეტის ინიციატივით და ბ-ნ ზურაბ ჯგუბურიას პირადი ძალისხმევით ქ. ფოთში აფხაზეთის 21-ე საჯარო სკოლაში გაიხსნა აფხაზეთის ისტორიის კაბინეტი. უმაღლესი საბჭოს მხარდაჭერით მას გადაეცა სათანადო ლიტერატურა, რომელსაც პერიოდულად შევსება დასჭირდება, ასევე საოფისე ინვენტარი. ახლადგახსნილი ისტორიის კაბინეტის მუშაობის პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნეულია აფხაზებსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენასა და მშვიდობის მშენებლობაში ხელშეწყობა. ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლის მერხიდან ბავშვები მოემზადებიან აფხაზეთისთვის მშვიდობიანი მეთოდებით საბრძოლველად; მოემზადებიან, როდესაც ამის დრო დადგება, აფხაზეთში საცხოვრებლად. ასეთი მისია ეკისრება აფხაზეთის ისტორიის კაბინეტებს. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ აფხაზეთის მთავრობის ჩართულობის შემდეგ გადაწყდა 21-ე სკოლისთვის უდიდესი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის, დიპლომატის, აფხაზეთის მკვიდრის, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აფხაზეთში ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელის, მოგვიანებით კი აფხაზეთის ავტონომიის იდეის ავტორის აკაკი ჩხენკელის სახელის მიენიჭების საკითხიც. ამ შემთხვევაშიც ძალიან დიდია ბ-ნ ზურაბ ჯგუბურიას დამსახურება. 21-ე სკოლის თხოვნით, ბატონი ზურაბი აყენებს და ძალიან სწორადაც აყენებს კიდევ ერთ საკითხს. აღნიშნულ სკოლას სხვა მხრივაც სჭირდება მხარდაჭერა. ქალაქის ცენტრში, ის ფლობს სკოლის მიმდებარე 1.7 ჰექტარ მიწას, რომელიც შემოკავებულიც კი არ არის და ირგვლივ მცხოვრები მოსახლეობა პირუტყვის საძოვრად იყენებს. ეს სურათი ჩვენი თვალითაც ვიხილეთ, როდესაც ამ სკოლას ვსტუმრობდით. არ გვსურს შევჩერდეთ იმაზე, რამდენად მნიშვნელოვანია სკოლისთვის ამ მიწის ნაკვეთის ათვისება, სასწავლო და სპორტული მიზნებისთვის მისი გამოყენება. ამისათვის მათ აფხაზეთის მთავრობის მხარდაჭერა სჭირდებათ. დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს

მხარდაჭერა სკოლას ექნება. ვუბრუნდებით აფხაზეთის ისტორიის კაბინეტების თემას და ვიტყვით, რომ არათუ სასურველი, აუცილებელია მსგავსი თითო კაბინეტის გახსნა ზუგდიდში, ქუთაისსა და თბილისში, სადაც აფხაზეთის საჯარო სკოლები ფუნქციონირებენ. იმედი გვაქვს, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო იზრუნებს იმისათვის, რომ ასეთი კაბინეტები გაიხსნას; იზრუნებს იმისათვისაც, რომ მათ სრულფასოვნად იფუნქციონირონ და მათზე დაკისრებული მისია შეასრულონ.

საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტს ყველაზე დიდ გამოწვევად ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლების სფეროში არსებული მდგომარეობა მიაჩნია, რაშიც მას სრულად ვეთანხმებით. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, 13 თებერვალს შედგა კომიტეტის სხდომა, სადაც განათლებისა და კულტურის მინისტრის ბ-ნ გიორგი ძაძამიას და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირების მონაწილეობით აღნიშნულ საკითხზე სერიოზული მსჯელობა გაიმართა. მისასალმებელია, რომ კომიტეტის წევრები კმაყოფილები დარჩნენ სხდომის შედეგებით, მინისტრის პოზიციით. როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლების სფეროს მდგომარეობაზე ვსაუბრობთ, ბევრს არაფერს ნიშნავს წლების განმავლობაში სტატისტიკური მონაცემების მოტანა იქ არსებული სკოლების, მოსწავლეების, პედაგოგების, ტექნიკური პერსონალის რაოდენობის შესახებ. არაფერს ვამბობთ იმაზე, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ეს სტატისტიკა. მთავარი და მნიშვნელოვანია, რა ხდება იმ სკოლებში, რა სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესი მიმდინარეობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რას ემსახურებიან პედაგოგები, რომლებსაც ქართული სახელმწიფო ფინანსურ დახმარებას უწევს. არა ერთი და ორი წელი, არამედ დიდი ხანი, მინიმუმ 10-12 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ოკუპირებული გალის რაიონი სრულად (ნაწილობრივ უფრო ადრე) მოსწყდა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს. უფრო მეტიც, სასწავლო-აღმზრდელობითმა პროცესმა მიიღო მკვეთრად გამოხატული ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი ხასიათი. სავალალო შედეგებიც სახეზეა, რაც არის ოკუპაციის მიერ მოტანილი უდიდესი ბოროტება და ტრაგედია. ცხადია, ამაში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, მის ცალკეულ თანამშრომლებს ვერ დავადანაშაულებთ, მაგრამ სამინისტროც და ის ცალკეული თანამშრომლებიც პასუხისმგებელნი არიან იმაზე, რომ წლების განმავლობაში ღიად ეწინააღმდეგებოდნენ შესაბამისი ზომების მიღებას, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ანუ დისტანციური ასინქრონული და სინქრონული სწავლების შემოღების გზით ოკუპაციის შედეგების ოდნავ მაინც შერბილებას. უმაღლეს საბჭოში ქ-ნ ნანა კვარაცხელიას ხელმძღვანელობით არსებული პროექტი, ასევე მოგვიანებით - ქალბატონ ეკა ხოფერიას მინისტრობის პერიოდში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში შექმნილი საკვირაო სკოლა არის ძალიან კარგი, მაგრამ სრულიად არასაკმარისი იმისათვის, რომ მდგომარეობა ოდნავ მაინც გამოსწორდეს. აღნიშნული პროექტები საპილოტე ხასიათისაა, მათი მიზანი იმთავითვე იყო არა ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლების სფეროში არსებული პრობლემის გადაჭრა, არამედ, მისი იდენტიფიცირება, პრობლემის ნაწილობრივ მაინც გადაჭრის გზების, მეთოდების კვლევა-ძიება. ეს მიზანი

მიღწეულია - დღეისათვის საკმაოდ დიდი გამოცდილებაა დაგროვილი და უკვე სავსებით შესაძლებელია ახალ ეტაპზე გადასვლა, რაც ოკუპირებული გალის რაიონის მთელს ტერიტორიაზე დისტანციური სწავლების ოფიციალურად დანერგვას გულისხმობს. ამოცანა რთულია, მაგრამ განხორციელებადი. თუ ეს არ გავაკეთეთ, მაშინ მოგვიწევს იმის აღიარება რომ ვეგუებით იმ უბედურებას და ტრაგედიას, რაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლების სფეროში ტრიალებს. ცხადია, ეს არ მოხდება.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით გასული წლის აგვისტო-სექტემბერში გაიმართა სამი უაღრესად მნიშვნელოვანი მუშა შეხვედრა. პირველი შეხვედრა შედგა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდომის სამინისტროში მინისტრის მაშინდელი მოადგილის ბ-ნ გიორგი ჯინჭარაძის ხელმძღვანელობით. 2025 წლის სექტემბერში კიდევ ორი მუშა შეხვედრა გაიმართა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ოფისში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის ქ-ნ თამარ მახარაშვილის ხელმძღვანელობით. ამ საქმიანი და ნაყოფიერი შეხვედრების შედეგად ძალიან ახლოს მივედით გადაწყვეტილებამდე ოკუპირებულ ტერიტორიაზე დისტანციური ასინქრონული და სინქრონული სწავლების ოფიციალურად დანერგვის თაობაზე. დღეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, მისი ხელმძღვანელები დაკავებულები არიან განათლების სფეროში მიმდინარე გრანდიოზული რეფორმით, ამიტომ ინიციატივა ხელში უნდა აიღოს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ. მისი აქტიურობის შემთხვევაში ქ-ნი ქალბატონი თამარი, რომელიც თავისი საქმის დიდი პროფესიონალი და იმავდროულად დიდი პატრიოტიცაა, აუცილებლად გამოძებნის დროს, რათა განახლდეს სამუშაო შეხვედრები და კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. ახლა მთავარია აფხაზეთის მთავრობის, პირველ რიგში, განათლებისა და კულტურის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის მიერ პრობლემის მთელი სიმწვავის ღრმად გაცნობიერება - იმის გაცნობიერება, რომ ენგურს გაღმა არსებული სკოლები და საბავშვო ბაღებიც კი, რომლებიც სახელმწიფოს ან ჩვენს მიერ ფინანსდებიან, ემსახურებიან არა მოსწავლეთა განათლების, ბავშვების აღზრდის საქმეს, არამედ მათი ასიმილაციისა და ახალ თაობაში საქართველოსადმი ნეგატიური განწყობის შექმნის ანტისახელმწიფოებრივ, დანაშაულებრივ მიზნებს. არსებული საპილოტე პროექტებით აღნიშნულ პრობლემასთან გამკვლავება შეუძლებელია. დიდი ხანია დადგა დრო საპილოტე პროექტებიდან გადავიდეთ დისტანციური სწავლების დანერგვაზე ოკუპირებული გალის რაიონის მთელს ტერიტორიაზე. როგორც ზემოხსენებულ მუშა შეხვედრებზე გაირკვა, ამისათვის საჭიროა თუ ზოგადი განათლების შესახებ კანონში ცვლილება არა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კანონქვემდებარე აქტის მიღება, მთელი რიგი ორგანიზაციული, მეთოდური, ტექნიკური და სხვა საკითხების მოგვარება. არა მხოლოდ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, არამედ მთლიანად აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების, რა თქმა უნდა, უმაღლესი საბჭოს ჩათვლით, საქმიანობა განათლების სფეროში უნდა შეფასდეს იმით,

თუ რამდენად გავართმევთ თავს ამ ახალ, მრავალი თვალსაზრისით რთულ, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც რეალურად დგას ჩვენს წინაშე.

უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი კომიტეტის თვით დასახელება უკვე გვიჩვენებს, რომ მას პირდაპირი შეხება და უშუალო კავშირი აქვს აფხაზეთიდან დევნილების, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა ყოველდღიურ ყოფასთან, მათი ყოველდღიური პრობლემების მოგვარებასთან. ეს არის სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა, ჯანმრთელობის დაცვისა და დევნილთა საქმეების კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე ბ-ნი რუდიკ ცატავა გახლავთ. ადრეც არაერთხელ აღგვინიშნავს და დღესაც ხაზს გავუსვამთ კომიტეტის მჭიდრო და საქმიან ურთიერთობას აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან, რაც მისი წარმატებული საქმიანობის მთავარი წინაპირობაა. საშემოდგომო სასესიო პერიოდში კომიტეტს 7 სხდომა, ასევე ცენტრალური და აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან 38 საქმიანი შეხვედრა აქვს ჩატარებული. ყოველივე ამით სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა, ჯანმრთელობის დაცვისა და დევნილთა საქმეების კომიტეტი არა მხოლოდ ზედამხედველობას ახორციელებს შესაბამისი სამინისტროების საქმიანობაზე, არამედ უშუალოდაც მონაწილეობს, განსაკუთრებით ჯანდაცვის მიმართულებით, პაციენტებისთვის სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში. ეს ეხება მდინარე ენგურის გაღმა მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებსაც. მათ მიმართ კომიტეტი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს, რითაც თავისი წვლილი შეაქვს შერიგებისა და ნდობის აღდგენის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში.

იგივე ითქმის ადამიანის უფლებათა დაცვისა და აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხთა კომიტეტის მიმართაც. ქ-ნ ადა მარშანიას ხელმძღვანელობით მას ჩატარებული აქვს 6 სხდომა სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. კომიტეტის თავმჯდომარე აგრძელებს აქტიურ შეხვედრებს დევნილებთან, ურთიერთობას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩვენს თანამოქალაქეებთან, მათ შორის ეთნიკურ აფხაზებთან. ქ-ნ ადას საქმიანი ურთიერთობა აქვს აფხაზეთის პრობლემატიკითა და დევნილთა უფლებების დაცვით დაკავებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ნებისმიერი დონის წარმომადგენლობით ორგანოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, უმაღლეს საბჭოში აღნიშნულ კომიტეტს პირველი ვიცე-სპიკერი ბ-ნი თამაზ ხუბუა ხელმძღვანელობს. საშემოდგომო სასესიო პერიოდში კომიტეტმა 8 სხდომა ჩაატარა. ადრეც გვითქვამს და დღესაც ხაზი მინდა გავუსვა კომიტეტის თავმჯდომარისა და წევრების, ასევე აპარატის მაღალ პროფესიონალიზმს. ეს მაღალი პროფესიონალიზმი ვლინდება რესპუბლიკური ბიუჯეტის მიღებისას, მასში ცვლილებების შეტანისას, ასევე ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე მთავრობის კვარტალური ანგარიშების განხილვისას კომიტეტის თავმჯდომარის მიერ

წარმოდგენილ მოხსენებებსა და შესაბამის გადაწყვეტილებებში თუ რეკომენდაციებში. გარდა ამისა, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, ახორციელებს რა საზედამხედველო ფუნქციას, რეგულარულ მონიტორინგს უწევს ცალკეული მხარჯავი ორგანიზაციების ბიუჯეტების მართვის ეფექტიანობის ამაღლების საკითხებს, ასევე პროგრამული კოდებით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ხარჯვის მიზნობრიობას. ამ თვალსაზრისით ჩვენ, დეპუტატებს, კარგად გვახსოვს 2025 წლის 22 ოქტომბრის პლენარულ სხდომაზე ბ-ნ თამაზის მიერ წარმოდგენილი საფუძვლიანი მოხსენება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელისუფლებო სტრუქტურებში სოციალურ-ეკონომიკური და საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის სისტემური ანალიზი (2020-2024 წწ,)“. ასევე კარგად გვახსოვს 2025 წლის 26 ნოემბრის პლენარულ სხდომაზე მოსმენილი კომიტეტის თამჯდომარის ინფორმაცია „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამინისტროს ქვემდებარე პროგრამებისა და ქვეპროგრამების რეალიზაციისათვის 2024-2025 წლების რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ხარჯვის ეფექტიანობის შესახებ“. მუშაობა ყველა ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს. რესპუბლიკური ბიუჯეტის მუდმივი ზრდა, რაც აფხაზეთის მთავრობის დიდი დამსახურებაა, ზრდის თითოეული მხარჯავი ორგანიზაციის, ასევე საზედამხედველო ფუნქციის მატარებელი უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის პასუხისმგებლობასაც. მინდა ვთხოვო კომიტეტის თავმჯდომარეს და წევრებს, რომ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობაზე ზედამხედველობის განხორციელებისას ყურადღება მიაქციოთ როგორც უმაღლესი საბჭოს, ისე აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობას.

აქვე გავიმეორებთ ადრეც არაერთხელ ნათქვამს, რომ სახელმწიფო სტრუქტურაში კორუფცია თუ არის სისხლის სამართლის დანაშაული შესაბამისი პასუხისმგებლობით, დევნილ სახელისუფლებო ორგანოებში - უმაღლეს საბჭოში თუ მთავრობაში - ეს იქნება შეუდარებლად უფრო მძიმე დანაშაული. გარემო, რომელიც დღეს არის შექმნილი მთავრობასა და უმაღლეს საბჭოში, გამორიცხავს ასეთ დანაშაულს, მაგრამ ყურადღების მოდუნება მაინც არ შეიძლება.

ყველა კომიტეტის, მთლიანად უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა გახლავთ დევნილ მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირი, მისი კანონიერი უფლებების დაცვა, დევნილ მოსახლეობაში არსებული პრობლემების შესწავლა და მთავრობასთან ერთად მათ მოგვარებაზე ზრუნვა. ამასთან დაკავშირებით მსურს ყურადღება გავამახვილო 2025 ოქტომბრიდან 2026 წლის იანვრამდე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში არსებულ დევნილთა ჩასახლებებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებზე. დევნილ მოსახლეობაში მსგავსი გამოკითხვა პირველად ჩატარდა. მთელს ამ პროცესს კოორდინაციას უწევდა პირველი ვიცე-სპიკერი ბატონი თამაზ ხუბუა, მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას მოწვეული სპეციალისტი, პროფესორი ქეთევან ჩიგოგიძე ახორციელებდა. უშუალოდ გამოკითხვის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა

მიიღეს უმაღლესი საბჭოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის, ანალიტიკისა და პროტოკოლის დეპარტამენტის სპეციალისტებმა და აფხაზეთის იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს რეგიონალური წარმომადგენლობების თანამშრომლებმა. სპეციალურად მომზადებული ანკეტის მიხედვით თბილისში, აჭარაში, სამეგრელოსა და იმერეთში გამოიკითხა 1145 რესპოდენტი. გამოკითხვის მთავარი მიზანი გახლდათ დევნილთა სოციალური მდგომარეობის, აღნიშნული პრობლემისადმი თავად დევნილი მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. გამოკითხვამ კონკრეტულ ციფრებში და პროცენტებში დაგვანახა ის, რაც ისედაც ვიცოდით, მაგრამ ვიცოდით ზოგადად. როგორც მოსალოდნელი იყო, შედარებით მაღალი აღმოჩნდა უმუშევრობის დონე; ამასთანავე დევნილთა მნიშვნელოვანი ნაწილი გამოთქვამს დასაქმების, ამ მიზნით ახალი პროფესიის შეძენის, მცირე ბიზნესით დაკავების სურვილს; გამოიკვეთა სასურველი პროფესიებიც, რომლებსაც დევნილები დაეუფლებოდნენ დასაქმების პერსპექტივით. ძალიან სამწუხაროა, რომ გამოკითხულ დევნილთა ნაწილი დასაქმების სურვილს არ გამოთქვამს. ეს არის ძალიან დიდი და სერიოზული სოციალური პრობლემა, რომელსაც ასევ უნდა მიექცეს ყურადღება. მიმდინარე წლის 13 თებერვალს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები შესაბამისი რეკომენდაციებით, რომლებიც დღესვე გადაეგზავნება აფხაზეთის მთავრობას რეაგირებისათვის. იმედი გვაქვს, რომ დევნილთა დასაქმებაზე ზრუნვა გახდება როგორც მთავრობის, ისე უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება.

მოგეხსენებათ, დევნილობა უკვე თავისთავად არის დიდი პრობლემა, შეიძლება ითქვას, პრობლემათა მთელი სპექტრი, რომელსაც ყოველდღიური ყურადღება სჭირდება. სწორედ ამისთვის შეიქმნა თავის დროზე დევნილებთან, ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობასთან ურთიერთობის და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, რომლის უფროსი ქ-ნი ნანა კავარაცხელია გახლავთ. აღნიშნული სამსახურის შემადგენლობაში შემავალი აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან და ლტოლვილებთან ურთიერთობის განყოფილება ბ-ნ გურამ მაღლაკელიძის ხემძღვანელობით უკვე წლების განმავლობაში შესანიშნავად უძღვება უმაღლესი საბჭოს ცხელ ხაზს. მისი მეშვეობით განვლილ საშემოდგომო სასესიო პერიოდში 550-ზე მეტი შეტყობინებაა შემოსული სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე. გარდა ამისა, იმავე პერიოდში ხუთივე კომიტეტმა ჩვენი დევნილებისგან 300-ზე მეტი წერილი მიიღო, მათ შორის 123 სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა, ჯანმრთელობის დაცვისა და დევნილთა საქმეების კომიტეტმა, 62 - იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა და ა. შ. ყველა წერილზე თუ შეტყობინებაზე კეთდება სათანადო რეაგირება. მაგალითად, ძალიან ბევრი ადამიანი ითხოვს კონსულტაციას საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისა და სოფლად სახლის შესყიდვის პროექტის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიულმა და საქმისწარმოების დეპარტამენტმა, მისმა უფროსმა ქ-ნმა ნინო ხუნჯუამ აფხაზეთიდან დევნილ 107

მოქალაქეს გაუწია მაღალკვალიფიციური კონსულტაცია, რომელიც დაეხმარა მათ პრობლემების მოგვარებაში. დევნილი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ითხოვს ჩვენგან სურსათით დახმარებას. მარტო ცხელ ხაზზე ასეთი თხოვნით ძირითადად თბილისში მცხოვებმა 223 მოქალაქემ მოგვმართა. რა თქმა უნდა, ყველა თხოვნა დაკმაყოფილებულია.

აქვე ვიტყვით, რომ საშემოდგომო სასესიო პერიოდში ფონდმა „სოციალური სოლიდარობისათვის“, რომელიც დეპუტატთა დიდი უმრავლესობისა და აპარატის ყველა თანამშრომლის ყოველთვიური შენატანებით უკვე მეექვსე წელია ფუნქციონირებს, 2025 წლის სექტემბერ-დეკემბერში 816 ოჯახს მიაწოდა საკვები პროდუქტები. აქედან კახეთის რეგიონში 120 სასაჩუქრე კალათა გაიცა; ქართლის, იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს რეგიონებში - 240, თბილისში - 456. რამდენიმე ათეული ოჯახი დახმარებას ყოველთვიურად ღებულობს. არის შემთხვევები, როდესაც ხდება ამა თუ იმ კონკრეტული ოჯახისთვის მისთვის რეკომენდებული პროდუქტების ცალკე შეძენა და მიწოდება. ეს ღვთივსათნო საქმე, გავიმეორებ, ხორციელდება დეპუტატების უდიდესი ნაწილისა და აპარატის თანამშრომელთა კეთილი ნებით. 2025 წლის განმავლობაში, ძვირფასო მეგობრებო, ფონდში სოციალური სოლიდარობისათვის“ თქვენ შეიტანეთ 71 560 ლარი, აქედან სექტემბერ-დეკემბერში - 23 460 ლარი, 2020 წლიდან კი საკმაოდ სოლიდური თანხა - 459 967 ლარი. უმაღლესი საბჭოსთვის აღნიშნული პროექტი, შეიძლება ითქვას, იქცა ერთგვარ სავიზიტო ბარათად. იგი ატარებს არა მხოლოდ ჰუმანიტარულ, არამედ, პირველ რიგში, პოლიტიკურ ხასიათს. ის არის დევნილ მოსახლეობასთან შეხვედრების, მასთან ურთიერთობის, დიალოგის საუკეთესო საშუალება. პროექტის „სოციალური სოლიდარობისათვის“ მეშვეობით ხომ ათასობით ოჯახს დავეხმარეთ, არაერთხელ მოვიარეთ დევნილთა კომპაქტური ჩასახლებები ქვეყნის უკლებლივ ყველა რეგიონში, შევხვდით რამდენიმე ათეულ ათას ჩვენს თანამოქალაქეს, დავეხმარეთ მათ მთელი რიგი საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებაში, დამსახურებული ჯილდოები გადავეცით ღვაწლმოსილ ადამიანებს, შევიძინეთ მეგობრები და თანამოაზრეები, გავიცანით სხვადასხვა სფეროში წარმატებული ახალგაზრდები და ა. შ.

ჰუმანიტარული აქციის თანხლებით დევნილებთან ყოველი შეხვედრის მაღალ დონეზე ჩატარებას ხელს უწყობდა მათში აფხაზეთის მთავრობის წევრების, კონკრეტულად ბ-ნ დავით ფაცაციას და გიორგი კუსიდის, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მინისტრის მოადგილეების გურამ მისაბიშვილის, იგორ კოპალიანის, გიორგი ბულისქერიას, სამინისტროს რეგიონალური წარმომადგენლობების ხელმძღვანელების კოტე ბასარიას, ნათია კოპალიანის, დავით ძალამიძის, აგრეთვე ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერების, საკრებულოთა თავმჯდომარეების ან სხვა ხელმძღვანელი პირების მონაწილეობა. მადლობა მათ აქტიური ჩართულობისთვის და გაწეული დახმარებისთვის. განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებენ ადამიანები, რომელთა შენატანებით ფონდი „სოციალური

სოლიდარობისათვის“ აგრძელებს ფუნქციონირებას; ადამიანები, რომლებიც კეთილსინდისიერად წარმართავენ ფონდის საქმიანობას, ინტელექტუალური და მძიმე ფიზიკური შრომით უზრუნველყოფენ დევნილებთან შეხვედრების დაგეგმვას, ტონობით პროდუქტების შეძენას, მათ დაფასოებას, ტრანსპორტირებას და, ბოლოს, ადგილებზე ჰუმანიტარული აქციების სათანადო დონეზე ჩატარებას. ჩვენ არაერთხელ გვიხსენებია ეს ადამიანები და კიდევ ერთხელ სიამოვნებით დავასახელებთ. ფონდის „სოციალური სოლიდარობისათვის“ მთავარი სულისჩამდგმელი იყო და არის ნანა კვარაცხელია. ამ დიდ და ნამდვილად საამაყო საქმეში მას მხარში უდგანან შორენა მირცხულავა, ლალი გულორდავა, თემურ ურიდია, გიგა შელია, ხვიჩა და ნიკა ქარდავები, გელა პაპასქუა, ვალტერ სანაია, ზურაბ ჯგუბურია (უმცროსი) და სხვები. ამ საკითხზე საუბარს დავამთავრებთ ინფორმაციით იმის შესახებ, რომ აღნიშნული ფონდი არც თუ ისე იშვიათად ახერხებს მდინარე ენგურის მარჯვენა მხარესაც ჩვენი თანამოქალაქეების გარკვეული ნაწილისთვის დახმარების აღმოჩენას იშვიათად პროდუქტებით, უფრო ხშირად კი სასკოლო ჩანთებით და სხვა სასწავლო ინვენტარით, ამჯერად კი ერთ-ერთი სკოლისთვის საახალწლო ნაძვისხის შეძენით.

მსურს ყურადღება გავამახვილი სულ სხვა დანიშნულების კიდევ ერთ პროგრამაზე, რომელიც უმაღლეს საბჭოში ხორციელდება. მიმდინარე 2026 წელს ქართული სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავს აღნიშნავს. ამ ისტორიულ თარიღს პირდაპირი შეხება აქვს აფხაზეთთან, მის პოლიტიკურ და საეკლესიო ისტორიასთან. უმაღლესი საბჭო იმთავითვე, განსაკუთრებით კი დევნილობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და დღემდე ანიჭებს ისტორიულ თემატიკას. აფხაზეთის პრობლემატიკაში ოდნავ მაინც ჩახედული ადამიანისთვის ცხადია, რატომ არის ეს საჭირო და აუცილებელი. 2024 წლიდან საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან, ასევე სოხუმის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით და, რა თქმა უნდა, საპატრიარქოსთან შეთანხმებით მიმდინარებს მუშაობა აფხაზეთის საეკლესიო ისტორიის შესახებ წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნაზე უძველესი დროიდან XX საუკუნის 20-ან წლებამდე. ეს არის საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაო, რომელსაც ასრულებს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სადაც დაცულია ისტორიული დოკუმენტების დიდი ნაწილი. უმაღლეს საბჭოსაც თავისი მოკრძალებული ადგილი აქვს ამ დიდი პროექტის განხორციელებაში. ჩვენ გვაქვს პროგრამა - „აფხაზეთის შესახებ ისტორიული დოკუმენტების ბაზის შექმნა“. პროგრამა ითვალისწინებს არა უბრალოდ დოკუმენტების მოძიებას და შენახვას, არამედ მათ, დამუშავებას, გამოცემას, კონფერენციების ჩატარებას და ა. შ. ყველაფერ ამაში აქტიურ მონაწილეობას იღებს აპარატის თანამშრომელთა გარკვეული ნაწილი თავმჯდომარის კაბინეტიდან, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის, ანალიტიკისა და პროტოკოლის დეპარტამენტიდან. აღნიშნული პროგრამის რეალიზების თვალსაზრისით საკმაოდ ნაყოფიერი იყო 2024 და 2025 წლები. მუშაობა ამ მიმართულებით მიმდინარე წელსაც გაგრძელდება -

გაგრძელდება იმიტომ, რომ მას აქვს პირდაპირი კავშირი როგორც მეცნიერებასთან, ისე შერიგებისა და ნდობის აღდგენის სახელმწიფო პოლიტიკასთან.

პატივცემულო კოლეგებო, ძვირფასო სტუმრებო! შერიგებისა და ნდობის აღდგენის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება ოკუპირებული ტერიტორიის მიმართ თავისთავად გულისხმობს ამ ტერიტორიაზე არსებული ვითარების ზედმიწევნით ცოდნას და მუშაობაში მის გათვალისწინებას. უმაღლესი საბჭო, წარმოადგენს რა სწორედ ოკუპირებული ტერიტორიის ლეგიტიმურ ხელისუფლებას, მუდმივ რეჟიმში აგრძელებს იქ არსებული მდგომარეობის შესწავლას, მონიტორინგს; ყოველდღიურად წარმოებს აფხაზეთში მიმდინარე პროცესების ანალიზი, მათი პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება. ამ თვალსარისით, სულ უფრო და უფრო საინტერესო ხდება საინფორმაციო დაიჯესტები, რომლებსაც ამზადებს და აქვეყნებს უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან ურთიერთობის, ანალიტიკისა და პროტოკოლის დეპარტამენტი. მარტო საშემოდგომო სასესიო პერიოდში 50 ასეთი დაიჯესტი ვიხილეთ. თავმჯდომარის კაბინეტში პერიოდულად მზადდება და ქვეყნდება საკმაოდ ვრცელი ანალიტიკური წერილები აფხაზეთში და მის ირგვლივ მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების შესახებ. საშემოდგომო სასესიო პერიოდში 15 ასეთი წერილია მომზადებული და გამოქვეყნებული. აფხაზეთის შესახებ, იქ არსებული ვითარების თაობაზე ობიექტური ინფორმაციის გასავრცელებლად საკმაოდ ეფექტურად ვიყენებთ სხვადასხვა ციფრულ პლატფორმებს. აღნიშნულ ინფორმაციას მარტო საშემოდგომო სასესიო პერიოდში - ანუ 2025 წლის სექტემბრიდან დღემდე 144 მლნ-ზე მეტი ნახვა აქვს ძირითადად პოსტსაბჭოთა სივრცეში.

2025 წლის პირველი ნახევრისგან განსხვავებით, როდესაც აფხაზეთში ე. წ. ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა და რომელიც ოკუპანტი სახელმწიფოს „გამარჯვებით“ დასრულდა, დღეს ვითარება ავტონომიურ რესპუბლიკაში რამდენადმე განსხვავებულია. წინა წლებში გატარებული მცოცავი ანექსიის უხეში პოლიტიკა, როგორც ეს კარგად ვიცით, აფხაზური საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილებას იწვევდა. ანექსიონისტური პოლიტიკის ფარგლებში მიღებულმა ე. წ. აპარტამენტების კანონმა, აგრეთვე ე. წ. საინვესტიციო შეთანხმებამ 2024 წლის შემოდგომაზე საქმე აფხაზთა ამბოხებამდე და დე-ფაქტო რეჟიმის დამხობამდე მიიყვანა, რაზეც თავის დროზე დეტალურად ვისაუბრეთ. სწორედ ამის შემდეგ კრემლი ახდენს საკუთარი პოლიტიკის კორექტირებას ოკუპირებული ტერიტორიის მიმართ, თუმცა მიზანი უცვლელი დარჩა. ახალი პოლიტიკა სინამდვილეში გახლავთ კარგად დავიწყებული, აფხაზეთში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში აპრობირებული „მათრახისა და თაფლისკვერის“ ძველი პოლიტიკა. სწორედ ამ პოლიტიკის წყალობით „მოიგო“ კრემლმა ე. წ. ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც ოკუპაციის პირობებში პირველად მოახერხა აფხაზთა უმრავლესობისთვის მიუღებელი კანდიდატის გაყვანა.

„მათრახისა და თაფლისკვერის“ პოლიტიკის ფარგლებში კრემლი აფხაზეთში, ერთის მხრივ, ახორციელებს სხვადასხვა საინვესტიციო პროექტებს, აწვდის

ელექტროენერგიას, გასცემს ხელფასებს, პენსიებს და ა. შ. მეორეს მხრივ, აგრძელებს ოპოზიციურად განწყობილი პირების წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებების გატარებას - რუსეთის მოქალაქეობის ჩამორთმევას, უცხო ქვეყნის აგენტებად გამოცხადებას, ცალკეულ შემთხვევებში კი სისხლის სამართლის საქმეების აღძვრას და ა. შ. გამკაცრებულია კონტროლი მთელს დე-ფაქტო ხელისუფლებაზე ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოების ჩათვლით. მოსკოვს ერთი წუთითაც არ უთქვამს უარი ანექსიონისტურ გეგმებზე. ვინაიდან აპარტამენტების პროექტის განხორციელების გზით აფხაზეთში ათეულ ათასობით რუსეთის მოქალაქის ჩამოსახლების გეგმა ჩავარდა, ახლა მოიფიქრეს იმ პროექტის სახეცვლილი ფორმა - „უძრავი ქონების კადასტრის კანონი“. მისი მიღება მოხდა ხმაურის გარეშე ჯერ კიდევ 2024 წლის 24 ნოემბერს, როდესაც რუსეთის მხრიდან აფხაზეთი ძლიერი ეკონომიკური, ენერგეტიკული და ფინანსური წნეხის ქვეშ იმყოფებოდა. ამ ე. წ. კანონის 42-ე და 43-ე მუხლში ტერმინი - „აპარტამენტი“ შეცვლილია ახალი ტერმინით - „ნეიტრალური შენობა“. ადგილობრივ დე-ფაქტო ადმინისტრაციებს უფლება ეძლევათ, იურიდიულ პირებს ან ინდმეწარმეებს გადასცენ მიწის ნაკვეთები შენობების მშენებლობისთვის. ხსენებული „კანონის“ მიხედვით, მშენებლობის დასრულების შემდეგ დეველოპერებს შეუძლიათ მათ მიერ აშენებული შენობები ცალკეულ ერთეულებად, ფაქტობრივად ბინებად დაჰყონ, რომლებიც რეგისტრირებული იქნებიან როგორც არასაცხოვრებელი ფართი. რადგანაც დე-ფაქტო კანონმდებლობა არ კრძალავს არასაცხოვრებელი ფართის უცხოელებზე გაყიდვას, შენობების შემდგომი გასხვისება რუსეთის მოქალაქეებზე „კანონიერად“ მოხდება. ფაქტობრივად, ეს არის არასაცხოვრებელი ქონების საფარქვეშ ბინების გაყიდვა. ე. წ. „უძრავი ქონების კადასტრის კანონი“ 2025 წლის 1 ოქტომბრიდან უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ საზოგადოებრივმა წინააღმდეგობამ აიძულა დე-ფაქტო ხელისუფლება მისი ამოქმედების ვადა 2027 წლის 1 ივლისამდე გაეხანგრძლივებინა. ამრიგად, აფხაზეთში რუსეთის მოქალააქეების ჩასახლებისა და ამ გზით დემოგრაფიული უპირატესობის მოპოვების გეგმა ნელი ტემპებითა და შემოვლითი გზებით მაინც ხორციელდება.

ანექსიონისტური გეგმების განხორციელებას ემსახურება ეთნიკური აფხაზებისთვის გამარტივებული წესით რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, რასაც ითვალისწინებს მოსკოვსა და სოხუმს შორის 2022 წლის 27 სექტემბერს ხელმოწერილი და 2025 წლის 22 აპრილს ამოქმედებული ე. წ. შეთანხმება ორმაგი მოქალაქეობის დარეგულირების შესახებ. ამჟამად 190 ათასამდე აფხაზეთში მცხოვრებს აქვს რუსეთის მოქალაქეობა და ფლობს საზღვარგარეთის რუსულ პასპორტებს. მოსკოვმა გადაწყვიტა მათთვის რუსეთის შიდაპასპორტების - ე. წ. საერთო სამოქალაქო (общегражданские) პასპორეტების გაცემა. ოკუპანტი სახელმწიფოს მტკიცებით, მსგავსი პასპორტები მათ მფლობელებს გაუადვილებდა სხვადასხვა რუსულ სახელმწიფო სერვისებზე წვდომას, ანუ შეასრულებდა უფროსი თაობისთვის საბჭოთა პერიოდიდან ნაცნობი პურისა და კარაქის ტალონების ფუნქციას. შიდაპასპორტების გაცემის დაჩქარების მიზნით, რუსეთიდან ჩამოიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის სამსახურის

თანამშრომელთა დიდი ჯგუფი, გადაანაწილეს სამ ქალაქში (ოჩამჩირე, სოხუმი გაგრა) და დაიწყეს შიდაპასპორტების მასობრივად გაცემა. ამჯერად პირველად მოხდა, რომ რუსული შიდაპასპორტის აღებას თან ახლდა რუსეთის სახელმწიფოს ერთგულებაზე ფიცის დადების პროცედურა შესაბამისი ვიდეომასალის გამოქვეყნებით. აღნიშნული პროცედურა გათვალისწინებულია „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების რუსეთის მოქალაქეებად მიღების შესახებ“ რუსეთის პრეზიდენტის 2025 წლის 17 მაისის ბრძანებულების მერვე მუხლით. დიდი ალბათობით, რუსული შიდაპასპორტების გაცემის ნამდვილი მიზანი არის არა რუსულ სერვისებზე წვდომის გამარტივება, არამედ რუსეთის ერთგულებაზე აფხაზთა დაფიცება, რუსულ სამართლებრივ სივრცეში მათი ინტეგრაცია, ფიცის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაყენება რუსული კანონმდებლობის შესაბამისად.

აქ შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ორი საუკუნის წინანდელი მოვლენები - XVIII საუკუნის დასასრული და XIX საუკუნის დასაწყისი, როდესაც რუსეთთან სამფარველო ტრაქტატის თუ შეთანხმების გაფორმების შემდეგ ქართული სამეფო-სამთავროების, მათ შორის აფხაზეთის თავადაზნაურობას აიძულებდნენ რუსეთის ერთგულებაზე ფიცის დადებას. იგივე ხდება ამჟამადაც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამჟამად არა XIX, არამედ XXI საუკუნეა. ბუნებრივია, რომ აფხაზურ საზოგადოებაში გაჩნდა კითხვები რუსეთის შიდაპასპორტების გაცემისა და განსაკუთრებით ფიცის დადების პროცედურასთან დაკავშირებით. მიმდინარე წლის 4 თებერვალს ეს საკითხი გახდა დე-ფაქტო პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის დახურულ სხდომაზე განხილვის საგანი. ე. წ. დეპუტატებმა გააკრიტიკეს შიდაპასპორტების გაცემის პრაქტიკა, როგორც არსებულ დე-ფაქტო, ასევე რუსულ კანონმდებლობასთან შეუსაბამო. ამით ვითომ განაწყენებულმა რუსულმა მხარემ ოპერატიულად მიიღო აფხაზეთის ტერიტორიაზე პასპორტების გაცემის შეწყვეტისა და შსს მიგრაციის სამსახურის თანამშრომლების უკან გაწვევის გადაწყვეტილება. აღნიშნულის თაობაზე რუსეთის ე. წ. ელჩმა მ. შურგალინმა უკვე 6 თებერვალს სოხუმში გამოაცხადა.

ამიერიდან პასპორტების, ასევე მართვის უფლების გაცემაც მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე მოხდება. სხვათა შორის, იმ მართვის უფლებაში აფხაზეთი მოხსენიებულია რუსეთის 99-ე რეგიონად. ვფიქრობთ, მიღებულ გადაწყვეტილებას ძალიან სერიოზულად უნდა შევხედოთ ჩვენც და აფხაზებმაც. რუსულ მხარეს არასოდეს მოუხდენია რეაგირება აფხაზეთის ე. წ. პარლამენტის რომელიღაც კომიტეტში გამოთქმულ ოპოზიციურ მოსაზრებებზე. საინტერესოა, რასთან გვაქვს საქმე? მოსკოვის ეს, ერთი შეხედვით, ნაჩქარევი გადაწყვეტილება სულაც არ უნდა იყოს ნაჩქარევი. ის არის კარგად მოფიქრებული, კარგად გათვლილი, თუმცა ვნახავთ, რამდენად კარგად გათვლილი ნაბიჯი და მიზნად უნდა ისახავდეს აფხაზეთში ოპოზიციური აზრის სრულ განადგურებას, მომავალ დე-ფაქტო საპარლამენტო არჩევნებზე ზემოქმედებას, იმ ახალი და კიდევ უფრო მორჩილი ე. წ. პარლამენტის მეშვეობით აფხაზებისთვის ძალიან მძიმე გადაწყვეტილებების თავსმოხვევას.

მოსკოვმა უკვე დაიწყო ზრუნვა აფხაზეთში ცალსახად პრორუსული პოლიტიკური ელიტის ჩამოყალიბებისთვის. ამ მიზანს ემსახურება გასული წლის 23 აგვისტოს დე-ფაქტო პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი ორგანიზაცია - „აფხაზეთის გუნდი“. 2025 წლის 8 ნოემბერს გამართულ ე. წ. ადგილობრივ არჩევნებზე დადასტურდა, რომ ეს ორგანიზაცია მზადაა თავისი ნამდვილი დანიშნულება პირნათლად შეასრულოს.

რადგანაც ადგილობრივი დე-ფაქტო არჩევნები ვახსენეთ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირველად დაფიქსირდა მოსკოვის აქტიური ჩარევა ამ დონის ე. წ. არჩევნებში. სოხუმში სპეციალურად მოვლენილმა რუსმა პოლიტტექნოლოგებმა დიდძალი ფული დახარჯეს და მნიშვნელოვანწილად უზრუნველყვეს მმართველი, აშკარად პრორუსული გუნდის გამარჯვება. ხსენებული პოლიტტექნოლოგების საქმიანობა ადგილობრივ დე-ფაქტო არჩევნებამდე სამი დღით ადრე, ანუ 2025 წლის 5 ნოემბერს დასრულდა მათზე ოპოზიციის წარმომადგენელთა თავდასხმით, ცემა-ტყეპით, ძარცვით, აფხაზეთიდან გაძევებითა და დიდი სკანდალით, რომელიც დღემდე გრძელდება. რუსულმა მხარემ თავდამსხმელებზე მაშინათვე სისხლის სამართლის საქმე აღძრა. მოგვიანებით იგივე გააკეთა აფხაზურმა მხარემაც. ამა წლის 5 თებერვალს თავდამსხმელები აფხაზეთის დე-ფაქტო პროკურატურაშიც დაიბარეს, მაგრამ მოსკოვის მოთხოვნა მათი დაპატიმრების შესახებ პროკურატურამ არ თუ ვერ შეასრულა. სამაგიეროდ, მეორე დღესვე, ანუ 6 თებერვალს ქალაქ სოჭის ცენტრალურმა რაიონულმა სასამართლომ ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო სამსახურის მიმართვის საფუძველზე გასცა ორდერები იმ აფხაზ ოპოზიციონერთა დიდი ჯგუფის დაპატიმრებაზე, რომლებიც სოხუმში რუს პოლიტტექნოლოგებზე თავდასხმაში მონაწილეობდნენ. მათ შორის ერთი დე-ფაქტო პარლამენტის წევრია. ყოველივე ამის გამო პოლიტიკური ვითარება ოკუპირებულ ტერიტორიაზე კვლავ დაიძაბა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ რუს პოლიტტექნოლოგებზე თავდასხმის ერთ-ერთი მიზეზი გახდა ადგილობრივი დე-ფაქტო არჩევნების წინ მათ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვა, სადაც ფიგურირებდა კითხვა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლის შესახებაც. ეს ყოველივე კიდევ ერთხელ ნათლად მიუთითებს მოსკოვის ანექსიონისტურ გეგმებზე, რასაც ეთნიკურ აფხაზთა დიდი უმრავლესობა ეწინააღმდეგება. მათ მშვენივრად იციან, რომ რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლა იქნება ეროვნული კატასტროფის ტოლფასი უბედურება. ჩვენმა თანამოქალაქეებმა და სისხლით ნათესავმა აფხაზობამ კარგად უნდა გაიაზროს, რომ მხოლოდ რუსულ დოტაციებზე და რუსულ ჩამრაზზე - ე. წ. „რუბილნიკზე“ დამყარებული „დამოუკიდებლობა“ არც თუ ისე შორეულ მომავალში შეიძლება მართლაც გამოუსწორებელი შედეგით - ეროვნული კატასტროფით დასრულდეს.

რა თქმა უნდა, მსგავსი პერსპექტივის თავიდან აცილება შესაძლებელია - მაგრამ შესაძლებელია მხოლოდ ქართული სახელმწიფოებრიობის წიაღში დაბრუნებით.

აფხაზურმა მხარემ უნდა შეიგნოს, რომ ქართველების გარეშე არა თუ იმ ფიქტიურ დამოუკიდებლობას, აფხაზეთის ტერიტორიასაც სამუდამოდ დაკარგავენ, როგორც დაკარგეს საკუთარი მიწა-წყალი მდინარე ფსოუს ჩრდილო-დასავლეთით, ანუ საქართველოს ფარგლებს მიღმა მცხოვრებმა კავკასიელებმა; ჩვენ, ქართველებმაც, უნდა შევიგნოთ, რომ აფხაზთა გარეშე აფხაზეთის დაბრუნება და მერე მისი შენარჩუნება, მთელ რიგ გარემოებათა გამო, შეუძლებელი იქნება. ერთი სიტყვით, ქართველები და აფხაზები განწირულები ვართ ერთად ცხოვრებისთვის. მოგვწონს - არ მოგვწონს, ასეთია მკაცრი რეალობა.

ამ რეალობით არის ნაკარნახევი ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ქართული სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ნდობის აღდგენისკენ, შერიგებისკენ, საბოლოო ჯამში, ქვეყნის გაერთიანებისკენ. აღნიშნული პოლიტიკის პირობებში, ასევე აფხაზეთში და მის ირგვლივ განვითარებული მოვლენების, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით სავსებით რეალურია საქართველოს გამთლიანება. უმაღლესი საბჭო არა მარტო დარწმუნებულია ამაში, არამედ აგრძელებს მუშაობას აფხაზეთის მომავალი კონსტიტუციის პროექტზე, რომელიც დასასრულს უახლოვდება. იმედი მაქვს, რომ გარკვეული ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუშალეს აღნიშნულ პროექტზე მუშაობის დასრულებას, მალე მოიხსნება და წარმატებით დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ.

ასეთ პოზიტიურ ნოტაზე დავასრულებთ მიმართვას. გილოცავთ 2026 წლის საგაზაფხულო სასესიო პერიოდის გახსნას, გისურვებთ წარმატებულ საქმიანობას.

მადლობა ყურადღებისთვის.

2026 წლის 17 თებერვალი.